ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 116
ივნისის 1, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 116
ივნისის 1, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დავით ბესარიონის ძე და მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 2 ივნისს, ორშაბათს, ერთი წლის სიკვდილის შემდეგ, კარდახილდ იქმნება წირვა კუკიის სასაფლაოზე, წმინდა ნინოს ეკლესიაში და შერმე პანაშვიდი საფლავზედ, განსვენებულის მათი შვილის მიხეილის სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(1-134—1)

კნეინა ივლიტე გიორგის ასული, თავ. დიმიტრი და კასპა კონსტანტინეს ძენი ერისთავები და კნ. მარიამ კონსტანტინეს ასული დადიანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქმრის, ხოლო მეორენი მამის

თ. კონსტანტინე ვახტანგის ძის ერისთავისას.

სთხოვენ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ, პირველ ივნისს, ქ. ოზურგეთში.

(1—6—1)

სოფელ კასპში 27 მაისს გარდაიცვალა

კნეინა ნინო დავითის ასული ამილახვარისა

რასაც ნათესავნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ დასაფლავება იქნება კასპში დღეს, 1 ივნისს, 11 საათზედ.

1—6—1)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

„სანზეიძე“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ **ფიჭვისა** და **მუხისა**, პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩაჟიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში (ერევნის მოედანი, სახლი № 2).

(30—1).

კავკასიის რკინის გზის მმართველობა

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 5 ივნისს, დილის 10 საათზედ, სადგურ ნავთლუღში გაიყიდება **5 რუმბი ღვინო** განჯიდგან ნავთლუღში გამოგზავნილი, რომელიც პატრონებმა არ გაიტანეს № 1867, წონით 237 ფუთი.

ღვინო დარჩება იმას, ვინც მეტს ფასს მისცემს იმაზე, როგორც დაფასებულია.

(3—6—1)

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

(50—6—20)

ჟირარდის მანუფაქტურების საქც. საზ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა
მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუანტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის
საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი
ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

დონნერი და ლეიტცი.

(100—59)

ქართველთა შორის წერა-კითხვის კამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წ. მოქმედებისა;
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგარიშის შესახებ;
3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-ვასავლისა 1903 წლისათვის;
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა;
5) სხვა-და-სხვა მოხსენებანი;
6) არჩევნები საზოგათოების ახალის წევრებისა.

ნაფიცი ვექილი

ლ. ს. სტალინსკი

გადავიდა ველიკოკნიაჟევსკის ქუჩაზე სახლი № 40

(4—131—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ვ. აველისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. ფჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ბრ. ვ. ხობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.

ა. ბ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე.

(წ.)

46—8

ტელეფონი № 617

ტფილისი, 1 ივნისი

უცხოეთის დეპეშათა ცნობებით (იხ. გუშინდელი დეპეშები), მეტად იშვიათი და საგულისხმო ამბავი მომხდარა ბელგრადში მაისის 29-ს: მოთმინებიდგან გამოსულს მხედრობას,—რომელსაც მხარს უჭერდა დიდი უმრავლესობა სერბიის ხალხისა,—დაუხოცნია თავისი მეფე-დედოფალი და მათნი მომხრენი წარჩინებულნი მოღვაწენი:—მინისტრ-პრეზიდენტი ცინცარ-მარკოვიჩი, მინისტრები გენ. ლაზარ პეტროვიჩი და გენ. მილოვან პავლოვიჩი, მეფის ადიუტანტი ნაუმოვიჩი, გენ.-ადიუტანტი პეტროვიჩი, ყოფილი სამხედრო მინისტრი პავლოვიჩი და სასახლის ერთგული ოფიცრები; სხვა მინისტრები დაუპატიმრებია. ჯარს მეფედ პეტრე ყარაგეორგიევიჩი გამოუცხადებია; ამასთანავე ხალხში გაუვრცელებიათ შემდეგი მოწოდება: „სერბიის ხალხის მიმართ! დღეს ღამით მოკლულ იქმნენ ალექსანდრე მეფე და დრაგა დედოფალი. ამ დიდმნიშვნელოვან და სამძიმო დროს შეერთდნენ ჩვენის სამშობლოს მეგობარნი და ახალი მთავრობა შეადგინეს. აუწყებს მთავრობა ამ ამბავს სერბიის ხალხსა და იმედოვნებს, რომ ხალხი მხარს მისცემს და დაეხმარება, რათა სამეფოში საყოველთაოდ დაცულ იქმნას მშვიდობიანობა და წესიერება. მთავრობა ამით იუწყება, რომ დღეიდგან ძალაში შედის 1901 წ. აპრილის 6-ს გამოცხადებული კონსტიტუცია ყველა კანონებით, რომელთაც ძალა ჰქონდა ამა წლის მარტის 25-მდე. მარტის 24-ს გამოცემულ პროკლამაციის ძალით დათხოვნილნი ერის წარმომადგენელნი ხელახლა მოწვეულ არიან თიბათვის 2-სათვის“. ხელს აწერენ: ავაკუმოვიჩი, მინისტრ-პრეზიდენტი ლიუბომირ ილიევიჩი, გარეშე საქმეთა მინისტრი სტოიან პროტიჩი, მინისტრები—გენჩიჩი, ატანოცკოვიჩი, ვეიკოვიჩი, მაშინი, სტოიანოვიჩი და შიმკოვიჩი.

ამგვარად სრულიად შეიცვალა სერბიის მთავრობა და მაშასადამე მთელი საშინაოსაგარეო პოლიტიკაც.

როდესაც გასულ მარტის 25-ს ალექსანდრე მეფემ სრულიად მოულოდნელად დაითხოვა სამინისტრო და ხალხის წარმომადგენელნი და მათ მაგიერ გენ. ცინცარ-მარკოვიჩის მეთაურობით ახალი ავსტრიის მომხრე სამინისტრო მოიწვია—რასაც სერბიის ხალხის დიდი უმეტესობა მეტად მტრულად მიეგება,—ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ ასეთი აბუჩად აგდება მთელის ხალხის სურვილისა, კეთილს ნაყოფს არ მოიტანს. ჩვენი მოსაზრება მეტად მალე და მეტად ტრაღიკულად აღსრულდა.

აი, ამ ტრაღედიის უმთავრესი მიზეზნი: პირველი ისაა, რომ ახალგაზრდა მეფე (სულ 26 წლისა თუ იქნებოდა) ვერ იყო მტკიცე ხასიათისა და ადვილად მოჰყვა თავის მეუღლის გავლენას. დედოფალი-კი, და რასაკვირველია მთელი მისი ნათესაობაც, იმ თავითვე ხალხს ეჯავრებოდა; (დრაგა დედოფალი უბრალო აფიცრის ქვრივი იყო, მეფეზე ერთი-ორად ხნიერი და, როგორც ირწმუნებოდნენ მისი მახლობელნი—საეჭვო ყოფა-ქცევის ადამიანი). ბუნებით ნიჭიერმა და მოხერხებულმა დედოფალმა ადვილად დაიმონავა ახალგაზრდა მეფე, რომელსაც ხელი ააღებინა ძველს მეგობრებზედ, ხალხის წარმომადგენლებზედ, რადგან კარგადა ჰგრძნობდა, რომ სწორედ იგინი ათვალწუნებით შეჰყურებდნენ მას, როგორც უღირსს დედოფალს. ხალხის უკმაყოფილება დღითი-დღე მატულობდა. მაგრამ ამ უკმაყოფილებამ მაშინ იჩინა ცხადად თავი, როცა დედოფლის ჩაგონებით მეფემ ტახტის მემკვიდრეთ (შვილი არა ჰყავდა) თავის ცოლის ძმის—ნიკოლა ლუნევიჩის—დანიშნვა განიზრახა. მაგრამ იძულებული შეიქნა ის განზრახვა დროებით მაინც უარეყო; ხოლო იმედს არა ჰკარგავდა, რომ მომავალში მაინც განეხორციელებინა თავისი წადილი (ანუ უკეთა ვსთქვათ, დედოფლის სურვილი). რადგან ხალხი ასე ცხადად წინააღუდგა მის სურვილს, გაჯავრებულმა მეფემ ბევრი აღარ დააყოვნა,—გააუქმა კონსტიტუცია და დაითხოვა ხალხის წარმომადგენელნი. ეს იყო ნამდვილ ომის გამოცხადება ხალხსა და მეფეს შორის. ახალი სამინისტრო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ცინცარ-მარკოვიჩი (აღზრდილი და გაწვრთნილი მილან მეფისა—ალექსანდრეს მამისა, რომელიც სერბიის ხალხმა ავსტრიის მომხრეობის გამო კიდეც გააძევა სამეფოდგან), სრულიად უგულვებელ ჰყოფდა ხალხის სურვილსა და ხელს უწყობდა დრაგა დედოფლის გავლენის განმტკიცებას. რომ მათ მეტი გამჭრიახობა ჰქონოდათ, ადვილად მიხვდებოდნენ, რომ თავის საქციელით იგინი საოცარის სისწრაფით აჩქარებდნენ საზოგადო არეულობასა, რომელიც მათდა საუბედუროდ უნდა დასრულებულიყო, რადგან მათ მომხრეთა რიცხვი შედარებით მეტად მცირე იყო, მოპირდაპირეთა-კი მეტად დიდი. ამას ცხად ჰყოფს გუშინდელი დეპეშა,—ხალხი სრულიად მშვიდობიანად მიეგება ამ ამბავსაო (მეფე-დედოფლის მოკვლასაო); მეორე დეპეშა—ზემლინიდგან მოსული—იუწყება,—საღამოზე (29-ს) ქალაქი დიდის ამბით გაახირაღდნეს; მთელი ბელგრადი სიხარულითაა აღტაცებულიო. თავის გვირგვინოსანთა ცხედრის წინ, რომელზედაც ჯერ კიდევ თბილი გვამები აწყვია, ხალხი გლოვა-ტირილის მაგივრად, სიხარულსა და დროს გატარებას ეძლევა! უბრალო ადამიანური გრძნობა მოითხოვს, რომ მტრის გვამიც-კი არ შეურაცხჰყოს; მაგრამ, ეტყობა, აწ განსვენებულ მეფე-დედოფალს მტერზედაც-კი მეტი მწუხარება მიუყენებია თავის ხალხისათვის, რომ ასე უპატივცემულოდ ეპყრობიან მათს ცხედარს.

ვუსურვებთ სერბიის ხალხს, რომ მომავალ მთავრობას მაინც სავსებით შეეგნოს თავისი

წმინდა მოვალეობა,—ერთგული სამსახური მთელის ერისა, რაიცა საუკეთესო თავმდებია ქვეყნის წარმატებისა და კეთილ დღეობისა.

ტფილისი

✦ დღეს, 1 ივნისს, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნულია წლიური კრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა; კრებამ უნდა განიხილოს წარსული წლის ანგარიში, წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა, მორიგი საქმეები და აირჩიოს გამგეობის ერთი წევრი (და კანდიდატი. წარსულ წელს, როგორც ანგარიშიდგან, სჩანს, საზოგადოებასა ჰყოლია 919 წევრი: 6 საპატიო, 68 დამფუძნებელი და 845 ნამდვილი. შემოსავალი ჰქონია 19,715 მან. 82 კ. და ხარჯი 24,486 მ. 48 კ. ხარჯი მეტი ყოფილა შემოსავალზედ 4.770 მან. და 66 კ. საზოგადოება ინახავს თავის ხარჯით, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა ადგილობრივ საზოგადოებათა შემწეობით, 8 სკოლას: ქუთაისისა, ბათუმისა, ძველ-სენაკისა, კავკავისა, წინარეხისა, თონეთისა, ხელთუბნისა და გომარეთისას; ამას გარდა ბევრს სხვა ღარიბს სკოლებს აძლევს შემწეობას წიგნებითა და ფულად; ეხმარება აგრეთვე სახალხო ბიბლიოთეკებს, ჰბეჭდავს ქართულს წიგნებს და მრავალგვარად ხელს უწყობს წერაკითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელებას ჩვენს სამშობლოში. საზოგადოებას აქვს თვისი ძვირფასი მუზეი, საუცხოვო ბიბლიოთეკა ქართულის ძველისა და ახლის მწერლობისა და საკუთარი ფოტოგრაფია. საგანგებო თანხები, რომლებიც საზოგადოებას აბარია—მუზეუმისა, სალიტერატურო, განსვენებულს თავ. რაფიელ ერისთავის სახელისა და სხვა შეადგენს 12,440 მ. 45 კაპ.

✦ როგორც ჩვენ შევიტყვეთ ამ დღეებში მობრძანდება ეპისკოპოზი კირიონი მათ მეუფება რამდენსამე თვეს დაჰყოფს აბასთუმანში სამკურნალოდ.

✦ დღეს, 1 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე, პირველ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში სხდომა იქნება მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების განყოფილებისა, ბ-ნ ლ. ლოპატინსკის თავმჯდომარეობით.

✦ კავკასიის სამოქალაქო სასწავლებელთა მასწავლებლების კრება დაიწყობა ორშაბათს, 2 ივნისს, დედათა მეორე გიმნაზიის სადგურში სადიდმთავრო ქუჩაზე. კრების წინად, დილის 9 საათზე პარაკლისი იქნება გადახდილი.

✦ საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ დაადგინა, რომ ყოველ ორ-კლასიან და მეორე კლასიან სამრევლო შკოლებში უფროსი მასწავლებელი უსათუოდ რუსი უნდა იყვეს. საბჭომ თავისი დადგენილება ამ ცოტახანში აცნობა განყოფილებებს: გორში, თელავში, დუშეთში და სხვ.

✦ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ცნობილის პაშკევიჩის ადგილზე, რომელიც გადაყვანილ იქმნა მოსკოვს, როგორც „ცნ. ფურც“.-ი იუწყება, სასულიერო მთავრობას დაუნიშნავს სენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი ბუტირსკი.

✦ პარასკევს, 30 მაისს, გენერალ-ლეიტენანტის ფრეზეს თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების ტფილისის განყოფილების გამგე კომიტეტს, რომელმაც დაადგინა: გაჰგზავნოს განყოფილების წევრები კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში ბუნებისა და ხალხთა ცხოვრების გამოსაკვლევად. გაიგზავნებიან: ბ-ნი ტროფიმოვი—აფხაზეთში, ბზიბის მხარეს; ბ-ნი პოდოზერსკი—კავკასიონის უმაღლეს მთაზე, ფიშტას მხარეს; ბ-ნი ზავადსკი—ტფილისისის მაზრაში მდებარე მორევების ცხოველთა გამოსაკვლევად და დაღესტანს; ბ-ნი ჩურენკი—თიანეთისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებში—ხალხთა რწმენისა და ზნე-ჩვეულებისა; ბ-ნი განი—კავკასიის მწვერვალზე სალავათის გზით აღმოსავლეთისკენ. მოგზაურთა და სხვა განყოფილების სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად კომიტეტს აქვს თავისუფალი თანხა 16,945 მან. 15 კ. კომიტეტმა დაადგინა ამ მცირე ხანში დანიშნოს განყოფილების წევრთა წლიური კრება ანგარიშისა და კომიტეტის მოხსენებათა განსახილველად და კომიტეტს ერთის წევრის ასარჩევად.

✦ ტფილისის სანიტარული მდგომარეობის გამოსაკვლევად და მოარულთა გავრცელების ამბების შესატყობად, საგუბერნიო სამკურნალოს განკარგულებით, აქაურ ექიმებს დაურიგდად ბეჭდური ფურცლები ავადმყოფთა ვინაობისა, შეძლებისა, სადგომისა და სხვა ცნობათა ასაწერად. ფურცელი ორად უნდა გაიყოს, ერთი გაეგზავნება ფოსტით უფასოდ საგუბერნიო სამკურნალოს და მეორე სასანიტარო ექიმს—ინსპექტორს.

✦ ტფილისის 1 ნაწილის გამომძიებელმა ევანგულოვმა, პროკურორის დახმარებით, გაათავა გამოძიება ჯორაშვილის მკვლელობის გამო და ამ დღეებში საქმე უნდა წარუდგინოს პროკურორს, რომელიც შემდეგ კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს გადასცემს.

✦ ტფილისის გუბერნატორი, პოლკოვნიკი სვეჩინი, მთავრობის ნებართვით, ორის თვით სამსახურიდან განთავისუფლებული და ამ დღეებში კავკასიიდან რუსეთს მიემგზავრება.

✦ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 29 მაისს ვაჭრობა იყო დაგირავებულ მამულებისა, რომლის პატრონებმა ხვედრი გარდასახადი ვადაზედ არ შეიტანეს. გაიყიდა 28 მამული ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მდებარე; 10 მამული-კი ბანკს დარჩა.

✦ გუშინწინ ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევად საქმე სამსონ მიქაძისა, რომელსაც ჰბრალდება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოს უფროსის შპიგანოვიჩის მოკვლა განიზრახა. ერთი უმთავრესი მოწმე არ გამოცხადდა და ამის გამო საქმის გარჩევა გადაიდო.

✦ 30 მაისს სამოსამართლო პალატამ გაარჩია საჩივარი პლიუშევსკის მემკვიდრეებისა რომლებიც განსვენებულს თავ. კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონს ედავებოდნენ 100,000 მანეთს. განაჩენი 11 ივნისს გამოცხადება.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

1903 წლის 26 მაისს.

ცოტა შესწორების შემდეგ დამტკიცდა 25 მაისის საღამოს ოქმი. კრება შეუდგა ბანკზე დარჩენილ მამულების განხილვას. ბანკზე დარჩენილი ყოფილა სულ 98 მამული. აქედან 49 მაუმული შეუძენიათ სხვა-და-სხვა პირთ. თუმცა 1901 წლის სექტემბერში გამგეობას მამულების მმართველი დაუნიშნავს, მაგრამ ამით თითქმის არაფერი გაკეთებულა, რადგან ცუდი ზამთარი იყო და უგზოობის გამო მმართველმა მამულები ვერ ჩაიბარაო. მამულების საქმე ძლიერ ცუდათ ყოფილა დაყენებული: „შემოსავალი გასავალს არ ჰფარავსო“, ამბობს გამგეობის მოხსენება.

თავ. დ. გ. წულუკიძე ბანკზე ამდენ მამულების დარჩენის მიზეზად, ერთის მხრით, ასახელებს იმ გარემოებას, რომ მამულების მდგომარეობა ხშირად იცვლება: ხან წყალი წაიღებს ადგილს და სახნავ-სათესი მიწის მაგივრად რიყე გაჩნდება, ვენახიან ან ტყიან ადგილის ნაცვლად-კი ცარიელი მინდორიო და სხ. ის საჭიროდ სთვლის, რომ გასაყიდათ დანიშვნამდის მამული ხელახლად გაიზომის, შეფასდეს და ამისდა გვარად ერთიანად გაიყიდოს, თუნდ ნაკლებ ფასადაც. რაც შეეხება მთელი მამულიდან საუკეთესო ნაწილის გაყიდვას, ამის წინააღმდეგია: დანარჩენ მამულს ფასი დაუვარდებაო. დასასრულ ის ურიჩევს გამგეობას, რომ სოფლის მამულებიდან მხოლოდ ისეთები დაიგირავოს, რომელთაც „межевой планъ“-ი აქვს.

ს. დ. ჯაფარიძე თავის მოხსენებაში ამბობს: ბანკის შემოსვლის დიდი ნაწილი უნდება დარჩენილ მამულებისაგან მოტანილ ზარალის დაფარვას: 1900 წელში ამ საგნისთვის გადადებული იყო 30 ათასი მანეთი, 1901 წელში—20 ათასი და 1902 წელში—10 ათასი მანეთი. ტფილისის ბანკს თუ ქუთაისისაზე ექვსჯერ მეტი მოგება ჰქონდა, ამის მიზეზი ერთის მხრით ის იყო, რომ პირველს მხოლოდ ექვსი მამული აქვს დარჩენილი, როდესაც ქუთაისისას 98 მამული აქვსო. ის უსაყვედურებს გამგეობას, რომ მსესხებელთ ფულის შემოსატანად ბევრს დროს აძლევს და ამით უფრო აჩვევს უზრუნველობასა და თავის დროზე ფულის შეუტანლობას; რომ არ ცდილობს დარჩენილი მამული მაშინვე ჩამოართვას ძველს მეპატრონეს, დაიმტკიცოს და შემდეგ ან იჯარით გასცეს, ან გაყიდოს. საჭიროდ სთვლის რომ დიდი საქმეების საწარმოებლად გამგეობამ იყოლიოს გამოცდილი იურისტი; რაც შეეხება დაბებში გასარჩევ საქმეებს, ესენი ადგილობრივ ვექილებს მიენდოს, რადგან ამით გზის ხარჯს თავიდან მოვიცილებთო. საჭიროდ სთვლის, რომ მამული ბანკზე დარჩენისათანავე ჩამოართვას ძველს მეპატრონეს, დამტკიცდეს ბანკის სახელზე და ზედ ვაჭრობა დაინიშნოს; რომ მოისპოს მამულების ეგრედ წოდებული „запрадажа“; რომ გამგეობამ მამულების მყიდველების აღმოსაჩენად იყოლიოს ერთი შუამავალი, რომელსაც ჯილდოთ უნდა აძლიოს გაყიდულ მამულის 1%—5%-მდის, მხოლოდ არა უმეტეს 200 მანეთისა თითო მამულიდან.

თავ. ი. ნ. ნიჟირაძე აღნიშნავს, რომ მთავრობისაგან გამოგზავნილმა რევიზორმაც შენიშნა, თუ რამდენად საზარალოა ბანკისათვის დარჩენილი მამულები და ურჩია გამგეობას მისი თავიდან მოცილება. გამგეობას-კი სრულიადაც არ უზრუნვია ამაზეო. თორმეტი წლის განმავლობაში ვებრძოდით ძველს გამგეობას საქმის ასე არევ-დარევისათვის. ეხლა თუმცა ძველი გამგეობა მოცილებულია, მაგრამ რეჟიმი ისევ ძველი სუფევს. ყველამ კარგად იცის, რომ ეხლანდელს ვექსლს ბ-ნ ჩხეიძეს ამდენი ხნის განმავლობაში სრულიად არაფერი გაუკეთებია ბანკის სასარგებლოდ. ამას კარგად ხედავდა ძველი გამგეობა, კარგად ხედავს ახალიც, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, არ იცილებს თავიდან.

ვ. ნ. აბულაძე უსამართლოდა სთვლის ახალ გამგეობისადმი საყვედურს: ერთის წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო გაგვესწორებინა ყველაფერი ის, რაც ათისა და ოცის წლის განმავლობაში აიწეწ-დაიწეწაო.

თავ. მ. გ. ფაღავა იწონებს ბ-ნ ჯაფარიძისაგან წარმოდგენილ მოხსენებას, მაგრამ საჭიროდ სთვლის, რომ ისევ დარჩეს მამულების „запродажа“; გარდა ამისა, დარჩენილი მამულები დამტკიცდეს ბანკის სახელობაზე სამის თვის შემდეგ: ადვილი შესაძლებელია, სამის თვის განმავლობაში მსესხებელმა მოახერხოს ფულის შემოტანაო.

კრებამ დაადგინა: გამგეობამ მიიღოს სახელმძღვანელოდ ს. დ. ჯაფარიძის მოხსენება თავად ფაღავას შესწორებით.

დასასრულ, ბანკზე დარჩენილ მამულების მმართველის ინსტრუქციის განსახილველად კრებამ აირჩია კომისიათ, შემდეგნი პირნი: თავ. გ. ჩიჩუა, თავ. ე. გ. გელოვანი, თავ. ვ. ს. ერისთავი, გ. ფ. ზდანოვიჩი და მ. ე. დარახველიძე, რომელთაც 27 მაისს უნდა წარმოედგინათ კრებისათვის განხილული ინსტრუქცია.

დავ.

აქეთური-იქითური.

I

ქუთაისში.

დიდის ხნის არ ყოფნის შემდეგ ამას წინად „სავარდო და სამაისო“ ქუთაისში შემხვდა ყოფნა, რამდენიმე დღით და ჯერ ისევ „რიონის“ სადგურზე დავრწმუნდი, რომ ეს ბუნებით უხვად დაჯილდოვებული ქალაქი კაცისაგან სრულიად მოძულებული და მივიწყებული უნდა იყოს. წარმოიდგინეთ, ტფილისის მატარებლით ღამის ორ საათზე ჩასულნი რამდენიმე საათს გვაყურყუტეს ამ სადგურზე და მხოლოდ გათენებისას ძლივს წაგვიყვანეს ქუთაისისაკენ. აბუჩად აგდება შეიძლება, მაგრამ არც ასეთი, როგორც რკინის გზაზე მატარებელთა მიმოსვლის გამწესრიგებელს აუგდია საბრალო ქუთაისი. თითქო იგი მოზრდილი, საგუბერნიო ქალაქი-კი არ იყოს, რამდენიმე სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაა, მთელი გუბერნიის მაჯა სცემს და ალებ-მიცემობა სწარმოებს, არამედ მიყრუებული და მივარდნილი პატარა სოფელი, რომლის მცხოვრებთათვისაც დროს საიმისო ფასი არა აქვს. სირცხვილია მარტო, სხვა რომ არა იყოს-რა, ქუთათურებისათვის, განურჩევლად ეროვნებისა წოდებისა და ხელობისა, რომ ქუთაისს მიმავალნი „რიონის“ სადგურზე, საიდამაც სულ რამდენისამე წუთის სასიარულოა იქამდის, რამდენიმე საათს იცდიდნენ ხოლმე!..

ძლივს ჩავედით ქუთაისში და რა ვნახე? იგივე ოღრო ჩოღრო ქუჩები, იგივე მტვერი და უსაქმური ხალხი „ბულვარში“ და მის გარშემო „გასართობ-გამგრილებელ“ ადგილებში, როგორც ჩემი შეგირდობის დროს იყო. მხოლოდ რამდენიმე ახალი შენობა ამჟღავნებს ცოტათი, რომ ქუთაისიც ასე თუ ისე იზრდება და წინ მიდის. განსაკუთრებით ჩემი ყურადღება მიიქცია სავაჟო გიმნაზიის შენობაზედ ახლად მიშენებულმა ვრცელმა და შნოიანმა ნაწილმა. ვიდექ ამ შენობის წინ და, გულდაწყვეტილი, ვიგონებდი, როგორ დაჰკარგა ჩვენმა თავად-აზნაურობამ იგი! მაშინ ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვსწავლობდი, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა ამ მრავალ მნიშვნელოვან ადგილისა და სახლის შეძენაზე თავად-აზნაურობისაგან, რომელსაც პატრონები შეღავათიანის პირობებით უთმობდნენ ამ ძვირფას ქონებას და მახსოვს, რა სიამით მიძგერდა გული, როცა ვხედავდი, როგორ მოდიოდნენ და ათვალიერებდნენ გიმნაზიის შენობასა და ადგილს საბანკო კრებების დროს სოფლიდან ჩამოსულნი თავად-აზნაურნი! მაგრამ სად იყო პატრონი! და ეს შესანიშნავი ადგილი თავის საისტორიო „ოქროს ჩარდახით“, დიდებულ ჭადრის ხით და შენობებით თავად-აზნაურობის მაგიერ სხვამ შეიძინა!

ხშირად გამიგონია და ამას წინად ერთმა ქართველმა მეფელეტონემ ბეჭდვითი სიტყვითაც გამოსთქვა ეს აზრი, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობა უფრო პროგრესიულია ტფილისისაზე; რომ ქუთაისში უფრო აქცევენ ყურადღებას საზოგადო, საეროვნო და მთელის ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეებს, ვინემ ტფილისში და სხვა ამ გვარები. არ ვიცი, შეიძლება, მაღალ-მაღალი ფრაზები ქუთაისში უფრო ბევრი იხარჯებოდეს (თუმცა ხშირად აქაც ბევრ ადამის დროის, არამც თუ კონსერვატიულს, არამედ პირდაპირ ველურ აზრებს, გაიგონებთ, როგორც, მაგალითად, წელს, როცა თავად-აზნაურთა კრებისაგან კინაღამ მიღებულ იქმნა წინადადება, რომ ეშუამდგომლათ, ისე შეცვლილიყო კანონი, რომ ნება ჰქონოდათ თავიანთ ადგილებში სხვის საქონლის დახოცვისა), ხოლო საქმით რომ ტფილისში მეტი კეთდება, ეს ცხადია! მარტო ის რადა ღირს, რომ ტფილისის თავად-აზნაურობას ამ ჟამად შეუძლია, ასი ათას მანეთობით მოახმაროს საზოგადო საქმეებს და ახმარს კიდეც და ქუთაისის თავად-აზნაურობამ-კი კინაღამ სული ამოხადა თავის ბანკს, რომელიც პირველ ხანებში უფრო მდიდარი იყო ტფილისისაზე და ამოხდიდი კიდეც, რომ გარეშე „აპეკუნი“ არ დაეყენებინათ. ვინ ამბობს, ყოველი იმერელი ცალკე გმირია და თუ მოინდომა, ბევრს რასმე გააკეთებს, ხოლო საზოგადო ქართველური სენი, რომ ორი ქართველი ერთად არ ვარგა, იმერეთში უფროა ფესვ გადგმული. ორი ქართველი, ნამეტურ იმერელი, რომ ერთად მოხვდება, საერთოდ უღლის წევის მაგიერ, ერთმანეთს დაუწყებენ ხოლმე ჩხუბს და რასაკვირველია ხრამში გადაუძახებენ იმ საქმეს, რომელშიაც ჩაებნენ და თვითონაც ზედ მიჰყვებიან! თუ რა შეუძლია ცალკე აღებულს ქართველს, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიიდან, ამტკიცებს ბ. სამსონ თოფურიას სამაგალითოდ მოწყობილი სამკურნალო ქუთაისში, რომლის მსგავსიც ჩვენში-კი არა, თვით რუსეთში და სამზღვარ გარედაც-კი ძვირია. მე დავათვალიერე ეს სამკურნალო და არ შემიძლია, ავწერო ის სიამოვნება და აღტაცება, რომელიც ამ დათვალიერების დროს ვიგრძენი. ჭეშმარიტად დიდება და პატივი ბ. სამსონ თოფურიას, რომ არარაისაგან, მხოლოდ თავის მხნეობით და

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

IX

სიზმარი

საოცარი სიზმარი ვნახე: რაღაცა დიდს დარბაზში ვიჯექ; ვისი იყო ის დარბაზი, ან სად იყო იგი, ამას „საადრესოში“ თუ გაიგებთ, თორემ მე რა მოგახსენოთ. დარბაზი ერთობ ვრცელი იყო, ცხენი გაჭენდებოდა შიგ; დარბაზის ბოლოში მოსჩანდა ფარდა ჩამოფარებული სცენა. ან წარმოდგენა იქნება, ან ლექციების კითხვა-მეთქი, გამიელვა თავში, ჩამოვჯექ სკამზე და ლოდინი დავიწყე. აი დაირეკა ზარი და წუთის შემდეგ აიხადა ფარდაც. კულისებიდამ ვიღამაც შემოიძახა: ეს ალეგორიაც—სიმბოლიური სურათია კავკასიელთ ცხოვრებისაო. შევხედე სურათს: შუა სცენაზე გაშლილი იყო რამდენიმე მშვენიერი სპარსული ხალიჩა და იმ ხალიჩაზე მრავალი ძვირფასი მუთაქა ელაგა. მუთაქებზე იწვა მდიდრულად, ლამაზად მორთული ქართველი და გულიანად ხვრინავდა. ოქრო-ვერცხლის იარაღი ამშვენებდა ის მძლავრს ფიგურას, თავით დიდი დოქით ღვინო უდგა ამ გმირს და ჯიბეები კი გატენილი ჰქონდა ძვირფას ნადავლით. მის გარშემო მწკრივად იდგნენ სამხრეთის სურნელოვანი მცენარენი და ნაზად, მორცხვად დაჰყურებდნენ რაინდს.

უცბად ყველა მხრიდამ ფრთხილ ტურებსავით გამოცოცდნენ ვილაცეები და შემოეხვივნენ მძინარეს. ეცნენ მის ჯიბეებს, დაუჩხრიკეს, გამოაცალეს თავიდამ ძვირფასი მუთაქები, დაიტაცეს ყველაფერი რაც-კი მოხვდათ ხელში, ხოლო იარაღს დაანებს თავი—ალბად იმის ხელში აღებისა ეშინოდათ. მერე დადგნენ მხვრინავის გარშემო და დაიწყეს შლერა.. ქართველი ხან-და-ხან წამოხტებოდა ხოლმე, თავში ხელს იტაცებდა, მრისხანედ შეხედავდა და შეჰყვირებდა მათ; —აი თქვე, სისხლის მსმელებო! მაგრამ ძილით და ხოროს ტკბილის ხმით დამარცხებული ისევ დაეცემოდა საწოლზე და ხვრინვას ამოუშვებდა ხოლმე. ხორო-კი, რომელსაც ჰაიასტანის წარმომადგენელნი შეადგენდნენ, ამბობდა ნაციონალურ სიმღერას:

იავ ვანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო
რასა შფოთავ, ტუტუც-ვრაცევ, რამ შეგაშინაო?!
დაიძინე, ნუ იღვიძებ ეგრე მალ-მალეო,
შეექეცი ძილსა ტკბილად, შენ გენაცვალეო!
როგორც რაინდს არ შეგშვენის საქმიანობაო.
გაიღვიძე, როს ასტყდება ომიანობაო,
იკარ ხელი ხმალს და ხანჯალს და მტერს ეძგერეო!..
სანამ დრო გაქვს, ძილს ნუ იშლი, მე დამიჯერეო,
სანამ გძინავს, მე ვიქნები შენს მაგივრათაო;
შახათ იყავ; ტუტუც-ვრაცევ, იავნანინაო
ღმერთმა მიგცეს ძილის იშტა, ვარდო ნანინაო!...

აუდიტორიაში მყოფებმა ასტეხეს ტაშის ცემა და ხმაურობა: კეცე, კეცეო!—ვაშა—კეც, ვაშა კეც!.. მომესმა უცბად ხრინწიანი ხმა... გავიხედე იქით. ეს ვაშა კეც—რა უნდა იყოს მეთქი, ვფიქრობდი გუნებაში, დავინახე იჯდა ბეცი წარმომადგენელი ბრუხიანის გაზეთისა; რაც სცენაზე ხდებოდა, იგი ვერ ხედავდა; თუმცა ძრიელ-კი პრუწავდა თვალებს სიმღერის შინაარს ვერ მიუხვდა, მაგრამ თვით ჰანგი მოეწონა. „ვაშა კეც“ ახალი სიტყვა ყოფილა სომხოფილებისა და აღნიშნავს იგი ორის მონათესავე ერთა შეერთებას.

მყ.

—

ტფილისი

— ტფილისის საბჭომ გადასწყვიტა კიდევ გამართოს საყასბოები ღრმა-ღელეში, ვარაზის ხევზე და მთაწმინდის გორაზე, „განდეგილის“ გვერდით. კარგია, ღმერთმანი! რამდენიმე მშიერი კიდევ გამოიძღობს კუჭსა.

— ქალაქის განათების საქმემ საბჭოში დიდი ბაასი გამოიწვია; ხმოსანი—„ინჟინრები“ ამტკიცებდნენ, საჭირო არ არის არც ელექტრონით განათება, არც „გაზითაო“; მოგვეცით ნავთლუხის ნავთის ადგილები იჯარით უვადოდ და უფასოთო, ჩვენ დავიმუშავებთ და ისევ მამა-პაპურად ნავთით ვანათოთო; ექიმი—ხმოსნები ამტკიცებდნენ, რომ სულ მაგ სინათლემ დაჰღუპა მთელი კაცობრიობაო: ყოველი სინათლე თვალს ახდენს, განსაკუთრებით ელექტრონისაო. ძველად თვალ-მაგარი ხალხი იმიტომ იყო, რომ დაღამდებოდა თუ არა, მაშინვე დაიძინებდნენ, თუ ღვიძილი დასჭირდებოდათ, მცირე ჭრაქითაც, რომელიც თვალზე არ მოქმედობდა, იოლად მიდიოდნენ. ამოდენა თვალით ავადმყოფნი სულ სინათლის ბრალია, და მალე ისეთი ხანა დადგება, რომ მთელი კაცობრიობა დაბრმავდესო. აფერუმ ბიჭებო! პირველად მესმის რომ ექიმი ავადმყოფობის გამრავლების წინააღმდეგი იყოს.

— მადლობა ღმერთსა! გუშინ ქალაქის გამგეობისაგან დაქირავებულნი „ცოცხალი ბოძები“ დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა; წინ გულზე და უკან ბეჭებზე წითელის მელნით დაბეჭდილი განცხადება ჰქონდათ ჩამოკიდებული: „ხალხის სასიხარულოდ და ჩვენდა სასიქადულოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ქალაქის დიდებულმა ტეხნიკოს-ინჟინერ-ექიმბაშმეცნიერმა ძლივს აღმოაჩინეს მიზეზი მილის წყლის სიმღვრივისა: აღმოაჩინეს ერთნაირი ბაცილა, რომელიც გამოსცემს სიმღვრივესა, ახლა შაბის მოსხმას უპირებენ, რომ ბაცილა მოჰკლან. ეს დალოცვილები, სად იყვნენ ამდენ ხანსა.

—

ჩვენებური ამბები.

თელავი. ქალები ხომ ქალები არიან, მაგრამ თელაველი ქალები სულ სხვანი არიან. ყოველმა აქაურმა ქალმა ზედ მიწევნით იცის, რომელ ქალს რა მოდის „რუბაშკა“ აცვია და თვითონაც სცდილობს უსათუოდ იმ გვარად შეიკეროს. ეს არის მხოლოდ მოდა თელავამდის გვიან მოაღწევს ხოლმე, რადგან გომბორის მთები ელობებიან წინ, მაგრამ როცა-კი მოვა, კახეთის ასულნი დიდის აღტაცებით ეგებებიან. რო ვინმე მოვიდეს ქალაქიდამ და სთქვას: ქალაქში ეხლა ყველანი ვაჟურად იცვამენო, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ქალები ქუდოსნებად გადაიქცეოდნენ. ამ ჟამად თელავში ექვსი „მასტერსკაია“. ქართველი დედები, ღარიბნი თუ შეძლებულნი, დიდის ხალისით ატარებენ თავიანთ ქალებს „მასტერსკაიაში“.

თელაველ ქალებს ქართული ლაპარაკი მეტადა სძულთ და ყოველი საზოგადო საქმე იმდენად ეინტერესებათ, რამდენადაც საინტერესოა გარეგნობით საქმის დამწყობი, გარნა ვინც ევროპიულ „ტანცების“ მიმდევარია, ღმერთად მიაჩნიათ. აქ არის ერთი პატივცემული ქართველი მოღვაწე, კაცი დარბაისელი, ერთგული მამულიშვილი; რაც გინდ კეთილი საქმე დაიწყოს ამ კაცმა, აქაური ქალები ქოქოლით და წყევა-კრულვით მიეგებებიან. რისთვის? ჯერ ერთი იმიტომ, რომ დიდი ცხვირი აქვს, მეორე იმიტომ, რომ „ტანცების“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერგიით, ამისთანა სამაგალითო დაწესებულება შექმნა ქუთაისში და დღესაც თანდათან უმატებს და ამშვენიერებს, უნდა მაგალითად და დაწყებულიცა აქვს სამკურნალოსთან საჰიდროტეროპიო (წყლით საქმიო) სამკურნალოც მოაწყოს!..

ქუთაისში არის კიდევ მეორე დაწესებულება, აგრეთვე ერთის პირის მხნეობის და ენერგიის ნაყოფი, რომელიც, რასაკვირველია, ბ. თოფურიას სამკურნალოს ვერ შეედრება თავის სიდიდით, მაგრამ თავის თავად ესეც დიდს განძს წარმოადგენს ქუთაისისათვის. მე მოგახსენებთ ქალბატონ ევგენია კორძაიას ქალთა საპროფესიონალო სკოლის შესახებ, სადაც ასამდე ახალგაზდა ქალი, გარდა საზოგადო პირველ დაწყებით განათლებისა, იძენს ყოველგვარს ოჯახში საჭირო და სასარგებლო ხელსაქმის ცოდნას. ამ სკოლის შესახებ ვრცელი წერილი უკვე იყო „ივერიაში“ და ამიტომ დაწვრილებით მის აწერას არ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ, რომ მარტო ამ სკოლისა და ბ. თოფურიას სამკურნალოს ნახვამ მაგრძნობინა სიამოვნება ქუთაისში, სხვა სასიამოვნო და სანუგეშო იქ არა მინახავს რა და არც არა გამიგონია რა...

დუტუ მეგრელი.

სამეცნიერო წერილები.

ქვები ცხოველთა სხეულში გაჩენილი.

ქვების გაჩენა ცხოველთა სხეულში.—ქვის სიდიდე, მოყვანილობა და ფერი.—არა ნამდვილი ქვები და მათი ხმარება თილისმებად.—საოცარი მაგალითი მთელის ცხოველის გაქვავებისა.

არა მგონია, თუ ბევრს გაეგონოს და მით უმეტეს ენახოს ისეთი ქვა, რომელიც ადამიანთა, ანუ ცხოველთა სხეულში გაჩენილა და გაზრდილა. ასეთი არა ნორმალური მოვლენა იშვიათია ადამიანთა შორის, მაგრამ პირიქით ძალიან ხშირს მოვლენას წარმოადგენს ცხოველებში.

გარეგნობითა და შემადგენელ თვისებებითაც ეს ქვები ისეთივენი არიან, როგორც ჩვეულებრივი ქვა და არაფერი განსხვავება მათში არ არის, გარდა იმისა, რომ ერთი ადამიანის სხეულში გაჩენილა და გაზრდილა, ხოლო მეორე კი არა.

ასეთი ქვები სხვა-და-სხვა სიდიდისა, ფერისა და მოყვანილობისანი არიან.

უდიდესი ამ ქვათაგანი შტუტგარდის კოლლექციაში ინახება და ოცს გირვანქას იწონის. იურიევის საბეითალო ინსტიტუტში 16 გირვანქიანია ასეთი ქვა.

ეს ქვა ინსტიტუტს შუა-აზიიდგან გამოუგზავნა ერთმა ბეითალმა, რომელსაც მკვდარი ცხენის გვამში ეპოვნა გაჭრის დროს. ცხენს ვეღარ აეტანა ამოდენა ქვის ტარება და თან გადაჰყოლოდა.

მარტინს კიდევ ცხენის საშარდის ბუშტში ეპოვნა მრავალი წვრილი ქვები წონით 25 გირვანქა.

ასეთი ქვები სხვა-და-სხვა მოყვანილობისა, სიდიდისა და ფერისანი არიან. უმრავლესობა მათი მრგვალია, ან მოგრძო კვერცხის მაგვარი, ზოგი გარეგნობით სუფთაა, ბრწყინავს, ზოგი პირიქით ხორკლიანია.

ასეთი ხორკლიანია თირკმელში გაჩენილ-გაზრდილი ქვა.

კაცმა რომ დაჰხედოს, ნამდვილის შავი იაუთის ნაყოფი ეგონება, იგი შავია და ხორკლიანი. ასეთი ქვები იმათ უჩნდებათ, ვინც დიდხნობით სჭამენ სამარხო საჭმელს.

უმრავლესობა ამ ქვებისა თეთრის ფერისაა, მაგრამ არიან შავებიც, ნაცრის ფერიც და ასე გასინჯეთ, ოქროს ფერიც-კი.

ასეთი ოქროს ფერი ქვები, რომელთაც ნამდვილ ოქროსავით ბზუვრიალი გაუდით, ხშირად უჩნდებათ ადამიანებს თირკმელებში.

ნამდვილ ქვებს გარდა ხშირად უჩნდებათ ცხოველებს არა ნამდვილი ქვები, რომელნიც გარეგანი შეხედულობით, თუმცა არაფრით განირჩევიან ნამდვილ ქვებისაგან, მაგრამ საშინლად მსუბუქნი არიან და შიგნით დახვეულ ბეწვი, ბალანი, ან ჩვარი აქვთ სათუთად. სხვილ-ფეხი საქონელი, როგორც ვიცი ძალიან მუცელ ღორაა, რაც მოჰხვდება, ხშირად ხელსახოცი, პერანგი, თუ სხვა რამ, მაშინვე პირისაკენ გააქანებს. ნაწლევებში, ან კუჭში ასეთი გადაყლაპილი, რომ დარგვალდება, შეისვამს ქვათა შემადგენელ ნივთიერებას და გარეგნობით ნამდვილ ქვას მოგაგონებთ. არ შეიძლება მკითხველებს არ უამბო ერთი ამბავი საქონელთა ღორმუცელობისა. ერთხელ ერთს თავადიშვილს დაეკარგა თავისსავე სახლში საფულე, რომელშიც ხუთი თუმანი ოქროს ფული იყო. თავადიშვილმა გუმანი თავისს მოსამსახურეზე მიიტანა და კიდევაც გაასახლებინა. გავიდა რამდენიმე წელიწადი, თავადიშვილმა თავისი შინაური ძროხა დაჰკლა და წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, რომ ძროხის კუჭში კარგად შენახული თავისი საფულე იპოვნა. ფულებით ისევ სავსე, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ ძროხას გადაეყლაპა და საბრალო მოსამსახურეს-კი დაბრალდა. ასეთი ქვები ხშირია აგრეთვე თხებისა და ცხვრების მაჭიკებში, რომელთაც თათრის ბოშა მკითხავი დედაკაცები თილისმად ან წამლადა ხმარობენ ხოლმე და ძალიან დიდ ფასში ასაღებენ მდაბიო ხალხში.

ამას გარდა შეიძლება მთელი ასო და ზოგჯერ სხეულიც-კი გაქვავდეს. კირით ან კიდევ სხვა რამე მისგვარით ისე გაიჟღენთება და გამაგრდება სხეული, რომ ნამდვილი ქვა გეგონებათ. იურიევის უნივერსიტეტში აქვთ საოცარი მაგალითი ასეთის გაქვავებისა, შენახულია მთელი ბავშვი, რომელიც ისე გაჟღენთილა და გამაგრებია მთელი სხეული, რომ ნამდვილი ქვის ადამიანი გეგონებათ და აქ, ძალა უნებურად, გაგონდებათ ის ზღაპრული ამბები და მოთხრობანი, კაცთა და ცხოველთა გაქვავებისა, რომელიც ხალხშია გავრცელებული.

მიზეზი ქვების გაჩენისა ცხოველთა სხეულში ბევრია, უმთავრესაც ცუდი საჭმელი, ჰაერი და სხვა-და-სხვა ავადმყოფობანი. მაღაროებში მომუშავენი, მაგალითად, იძულებულნი არიან რკინით, ქვანახშირით ან სხვა რამ ნივთიერებით გაჟღენთილი ჰაერი ისუნთქონ, ეს ჩანასუნთქი ნივთიერება სისხლში გადადის, სხვა-და-სხვა ადგილებში გროვდება და ქვად აქცევს იმ ადგილს. ესევე იცის საჭმელმაც. ცხენებს მაგალითად, ხშირად რომ აჭამოთ ქატო უსათუოდ გაუჩნდებათ ნაწლევებში ქვები, რადგანაც ქატო იმისთანა ნივთიერებას შეიცავს, რისგანაც ადვილად კეთდება ქვა. ზოგჯერ კიდევ რამე ავადმყოფობისა გამო, ის შემადგენელი ნივთიერება სხეულისა, რომელიც გახრწნილია მასში, სცვივა ერთად, იკრიბება და ნელ ნელა მთელი ქვა გაიზრდება ხოლმე. ასე ჩნდებიან ქვები თირკმელებში, შარდის ბუშტში, საშარდეს ბოლოში, ღვიძლში და სხვა.

ზ. ედილი.

ჩვენებური ამბები

სურამი. ახირებულმა და თავისებურმა საზოგადოებამ სურამისამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მთელი თავისი ცხოვრება და ქონება არა ჰშურს უსარგებლო საქმისათვის, ხოლო სასარგებლო საქმისათვის იოტის ოდენასაც არას გაიღებს... წარსულ კვირას გამოსათხოვარი სადილი გაუმართა სურამელთა ერთმა ნაწილმა (რიცხვით 50—60 კაცმა) ბ-ნ კ—ს, რომელიც სხვაგან იქმნა გადაყვანილი. სადილის გამართვაზედ დაიხარჯა 150 მანეთი. სადილი გამართულ იქმნა სასტუმრო „იალტა“-ში. . სვეს... სჭამეს და ზოგიერთმა, რომელთაც, ალბად, ჩვეულებად აქვთ, ქებათა-ქება შეასხან ყოველსავე, თურმე ვრცელის „რეჩებითაც“-კი მიჰმართეს მიზეზს სადილისა და ლხინისას.

საინტერესოა ახლა ჩვენთვის, რას წარმოადგენს, რით განისაზღვრება საზოგადოებრივი მოღვაწეობა ბ-ნ კ—ევისა, რომელსაც ასე უხვად გადუშალა თავისი გული სურამის საზოგადოების ხსენებულმა ნაწილმა. არც მე და არც სხვამ არა იცის-რა ბ-ნ კ—ვის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ.

მაშ, რას მოასწავებდა 150 მანეთის დახარჯვა? კეთილის საქმისათვის ხომ არ გაიღებენ სურამელები თავიანთ წვლილს!? სირცხვილი არის, რომ ასეთის მოქმედებით ქვეყანას ეუბნებით, ჩვენ არ ვიცით რა არის საზოგადო მოღვაწეობა და რა არის ჯიბისათვის სამსახურიო.

ა—ნა.

კავკასია

სად. გარიაჩევოდსკაია. ნახევარის ვერსის მანძილზეა ქ. პიატიგორსკიდან ეს სადგური. ექვემდებარება პიატიგორსკის მთავრობას. შიგ 1200 კომლი მცხოვრებია. ჰაერი კარგია, ფრიად მარგებელი. სახელმწიფოდ მაგარის სასმლით (მონოპოლია) ვაჭრობის დაწყობიდან კერძო კაცნი აღარ ვაჭრობდნენ აქ. ამ სამის თვის წინად დაიწყო ვაჭრობა, ერთმა ქართველმა ა. ალ—ოვმა ლუდითა. რადგანაც ლუდიც, როგორც მაგარი სასმელი, ექვემდებარება იმავე წესს, როგორც სხვა მაგარი სასმელები, მაგალითად: არაყი, ღვინო, კონიაკი და სხვა, ამიტომ დანიშნულ იქმნა ზედამხედველად უფროსი სააქციზო მოხელე ბ-ნი ს—სკი. ამან კარგად გაატარა რამდენიმე ხანი. არავისთვის ცუდი არ მოუნდომებია.

ამას წინად ზემოხსენებულს ვაჭარს ა. ალ—ოვს ეჩხუბებოდა; ეს ასე არ არის, ეს ასე არ უნდაო და სხვ.-. ბოლოს ალ—ოვმა გაუშვირა ხელი პირდაპირ მოვაჭრე სომეხისაკენ.—აიმას ჩემზედ კარგად აქვს მოწყობილი, რომ იმასკი არაფერს ეუბნები და მეკი ანთება შემყარეო.

— ქართველებს, რაშიც-კი მოვახერხებ და როგორც-კი გამივა, ისე დაგამცირებთ, რადგანაც თქვენ მტრები ხართ სომხებისაო. ამას წინად მოვიდა ერთი ნაცნობი რუსი ტფილისიდამ და მომიტანა ერთი წიგნი ვიღაც ჭავჭავაძისა, რუსულად გადათარგმნილი. იმ წიგნის დამწერი სომხის მეცნიერთ ამცირებს. თქვენს გაზეთებს სულ ჩვენი დაცინვა აკერიათ ენაზედ. ეს რომ გავიგონე, გულმა ვეღარ მომითმინა და კარგები მოვახსენე. აბა, მოდი და ამისთანა მოხელისაგან რას კარგს უნდა მოველოდეთ? ვინ არის ყურის მგდებელი? „სად წარვიდეთ ვის შევსჩივლოთ, ვის ვუთხრათ“?

აქ ამინდი კარგია. მოსავალსაც მშვენიერი პირი უჩანს. საზაფხულო სეზონი დაიწყო 1 მაისს. სამკურნალოდ ნელნელა მოდის ხალხი.

მწყემსი.

რუსეთი

— უწმინდესი სინოდი აცხადებს: აღმოჩნდა, რომ ყველგან რუსეთში კანონით აკრძალული წესით, იკრიბება ფული აღმოსავლეთის მართლ-მადიდებელ დაწესებულებათათვის, განსაკუთრებით-კი ათონის მონასტრის და სენაკათათვის; ამიტომ რამდენჯერმე იყო გამოცხადებული, რომ ათონის მონასტრის წინამძღვართა მოწოდება რუსეთის ხალხისადმი წერილებითა და განცხადებებით რუსეთის ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობის შებღალვა და ექსპლოატაციაა, ანგარებით გამოწვეული; მხოლოდ იმ ფულსა აქვს საქველმოქმედო დანიშნულება, რომელიც იკრიბება და აღინიშნება სინოდისაგან გამოცემულ წიგნებში. სინოდმა გამოაქვეყნა სია არა-კეთილ საიმედო სამღვდელო პირთა, რომელთაც აეკრძალად ამ სამარცხვინო ასპარეზზე მოღვაწეობა, ვბეჭდავთ მათ სახლებს: ბერები: ვარლაამ ჩერნიშევი, მოსე ბურონინი, მღვდელ მონაზონი ნოკენტი, მღვდელ-მონაზონი იანიკი ლიტვინენკო, ბერი სიმონ ჩებოტარევი, მღვდელ-მონაზონი გერასიმე ზონავიევი და მათე ვორონკოვი. სინოდი განსაკუთრებით აცხადებს, რომ ათონის მონასტრის წინამძღვარნი ცნობილნი არიან ამ სამარცხვინო ასპარეზზე მოღვაწეობით.

— საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე, როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, განუხილავთ საკითხი ინსტიტუტის და კურსების დაარსების შესახებ მასწავლებელთა და აღმზრდელთა მოსამზადებლად. ამ საკითხის შემუშავების დროს სახეში ჰქონდათ ევროპაში არსებული ამგვარი დაწესებულებანი და ზოგიერთი რუსეთშიაც არსებული კურსები.

— ფინანსთა სამინისტროსაგან გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ წლის იანვრისა და თებერვლის განმავლობაში მთელი სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა: ჩვეულებრივი 331,000,000 მან., 31 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1902 წ. შემოვიდა, არა ჩვეულებრივი 71,000,000 მან., შარშანდელზე 49, მილიონი მანეთით მეტი. ამ თანხიდან დახარჯულა: ჩვეულებრივი ხარჯი—366,000,000 მან., შარშანდელზე 20 მილიონით მეტი და არა ჩვეულებრივი—13,000,000 შარშანდელზე 4 მილიონით ნაკლები.

უცხოეთი

ოსმალეთი. თუმცა უცხოეთის გაზეთობა თითქმის ერთხმად ირწმუნება, რომ ალბანელები დიდად ეწინააღმდეგებიან რეფორმების შემოღებას დიუმსა, ჭასსისსა და რეკშით, მაგრამ ოსმალეთის გაზეთობა იუწყება,—ალბანელთა ოპოზიცია თანდათან სუსტდება და ამ მოკლე ხანში სრულიად დაითრგუნებაო. პატიმართა რიცხვი დღითი დღე მატულობს. მხოლოდ ჯერ ვერ შეუპყრიათ სულეიმან-ფაშა, რომელმაც ალყა შემოარტყა და აღებას უპირებდა დეჩანის მონასტერს.

— როგორც ვენურ გაზეთ „N. Fr. Pr.“-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან, ოსმალურ გაზეთ „იქდამს“ ვრცელი და თანაგრძნობით გამსჭვალული წერილი უძღვნია ბულგარიის ახალ სამინისტროსათვის; გაზეთს დიდად მოსწონს, რომ ახალი სამინისტრო სცდილობს განამტკიცოს კეთილგანწყობილება ბულგარიასა და ოსმალეთს შორისაო.

— ნაჩევიჩის მოციქულობის შესახებ გაზ. „Times“-ს სოფიიდგან ატყობინებენ,—სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ პორტას არ მოსწონს ბულგარიის წინადადება—პირდაპირ მოლაპარაკების გამართვა ოსმალეთთანაო.

ბულგარიას სწადიან დიდი სახელმწიფოები გაურიოს საქმეში, ოსმალეთის მთავრობა-კი წინააღმდეგია,—ჩემს დამოკიდებულ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების დროს უცხო, სახელმწიფოებს არ დავისწრებო.

ამ აზრით პორტას განუზრახავს—გაჰგზავნოს ბულგარიას განსაკუთრებული მისსია ნეჯიბ მელჰამის (ყოფილი აგენტი ოთმანისა ბულგარიაში) მეთაურობით, რათა შეამციროს ნაჩევიჩის მისსიის მნიშვნელობაო.

— ოფიციალურ ცნობებით, სოლუნში შეპყრობილ ბულგართაგან 400 კაცი გაუნთავისუფლებიათ. სამართალში მიცემულ იქმნებიან მხოლოდ 25 კაცი, რომელთაც სხვა-და-სხვა ბრალსა სდებენ.

— სოლუნის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა: მონოვს, რომელმაც ნაღმი ააფეთქა საფრანგეთის გემ „გვადალკვირზე“, ბოგდანს, რომელიც ყუმბარებს ისროდა და ამასთანავე ხმარობდა ჯოჯოხეთურ მანქანას, და მარკო სტოიანს, რომელიც აფეთქებას უპირობდა ოთმანის ბანკსა. განაჩენი სისრულეში უნდა მოიყვანონ თიბათვის 3-ს (ახ. სტ.)

საფრანგეთი. საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა, წინააღმდეგობა გამოუცხადოს ჰააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს იმის გამო, რომ ვენესუელის, გერმანიის, დიდ ბრიტანიის, იტალიის კავშირი მოწონებულ იქმნა მის მიერ.

— საფრანგეთის აბაშეთის კარზე მყოფი ელჩი ბ. ლაგარდი საფრანგეთისკენ მიმავალი თიბათვის 2-ს გავა ჯიბუტიდან და მივა მარსელს თიბათვის 11-ს. ლაგარდს თან მიაქვს ნეგუს მენელიკისაგან ხელმოწერილი ახალი ხელ-შეკრულობა საფრანგეთთან, რომელიც თითქო ძრიელ სასარგებლო იყვეს საფრანგეთისათვისაო.

არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული, რომ მ. ლაგარდი იყო გამოწვეული აბაშეთიდგან საფრანგეთს პირდაპირ მოსალაპარაკებლად იმ ხმების გამო, ვითომ საფრანგეთის გავლენა აბისინიაში შესუსტებულიყოსო.

ნარკვევი

გაზ. „Русск. Вѣд.“-ში დასტამბულია პროფ. ვანდერვილდეს საინტერესო გამოკვლევა კაპიტალისტურ მრეწველობის სოფლისადმი ლტოლვილების შესახებ.

კაპიტალისტური მრეწველობა დამკვიდრდა და განვითარდა ქალაქებში და ქვა-ნახშირის მაღნის მიდამოებში. მან შთანთქა სოფლის მრეწველობა. წვრილი სოფლის მრეწველნი იძულებულნი იყვნენ კაპიტალისტური მრეწველობის მსახურნი გამხდარიყვნენ. ხოლო კაპიტალიზმის შემდეგმა განვითარებამ გააძვირა ქალაქებში მუშების ხელ-ფასი და მრეწველობისათვის საჭირო სხვა-და-სხვა მასალა, ამიტომ კაპიტალისტები დღეს მოწადინებულნი არიან სოფელში დაამკვიდრიან მრეწველობა სადაც უფრო იაფად დაიქირავებს მუშებს, უფრო იაფ ფასად იშოვიან მასალას, მიწას და წყალს,

---

და „მასტერსკაების“ წინააღმდეგია და მესამე იმიტომ, რომ „გაზეთებში სწერს“.

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

— მამილოცნია, ქა, შენი არჩილის ბედნიერება, უთხრა ლიზამ თვისს მეზობელს ნანოსა.

— ენაცვალოს დედა, კარგი ადგილი მიიღო; კიდეც შეიფერა: აქნამდე ნახევარ ადლს ლაჯს რომ ადგამდა, ეხლა სამი გოჯი მოუკლო.

—ჩემმა ვაჟმა-კი ოთხი გოჯი უმატა, მიუგო ლიზამ.

— ქა, შენს ყარამანსაც მისცეს უმაღლესი ადგილი?

— უიმე, გენაცვალე! მერე რა ადგილი დიმიტრი ყიფიანობას რომ მოგახსენებდნენ უწინა, სწორედ იმისთანა ადგილი მისცეს. *)

სოფელ ყვარელს გვერდს ჩამოუდის პატარა მდინარე დურუჯი. ერთხელ ტფილისელმა სირაჯმა ღვინოები იყიდა და მეორე დღეს ტფილისისაკენ გამგზავრება უნდოდა. იმ ღამეს წვიმა მოვიდა და დურუჯი სულ გადაირია. სირაჯმა წასვლა არ დაიშალა, ადიდებულს დურუჯს არ შეუშინდა, თავისი რაშის იმედი ჰქონდა და ამიტომ არ მოერიდა. მოგიჟებულმა მდინარემ ცხენი მაშინვე წააქცია, კოლოტივით გაბერილი სირაჯი ზვირთებმა ააკოტრიალ-ჩამოაკოტრიალეს. სირაჯმა გაჭირვების დროს მაინც ქალაქური ხუმრობა არ დაიშალა: „ვა, ახარ, დაიცა და, რა დროს ხუმრობაა! მოვდივარ რადა; შენ-კი ნუ მაკოტრიალებ!“

არონა.

წერილები

I

თქვენ პატივცემულ გაზეთის № VIII-ში მოთავსებულმა განცხადებამ: „ვეტცელის თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის სახელით ჩემის საკუთარის ჯიბისათვისაო და სხვ.—მომაგონა ერთი კაი ხნის ამბავი და გთხოვთ „შურდულში“ დაუთმოთ ადგილი.

ამ ორი წლის წინად განსვენებული გ. ქართველიშვილის დაკრძალვის დროს, განსვენებული მწერლის და მოღვაწის ივანე კერესელიძის საფლავზედ, ძეგლის დასადგმელად, თუ არ ვცდები, ცამეტი თუმანი და ოთხი მანეთი (134 მ.) მოაგროვეს.

იმ დროს საბრალო მწერლის საფლავს ძირმომპალი ჯვარი და სიდამპლისაგანვე აქეთ-იქით გადაზნექილი ხის ხარიხა მაინც ჰქონდა ზედწარწერით: „აქ განისვენებს ივანე კერესელიძეო“. ეხლა ის ჯვარი და ხარიხაც აღარ არის და საფლავი ოხერ-ტიელადაა დატოვებული.

ის ფული, როგორც გვახსოვს, ბ. სოსიკო მერკვილაძემ შეაგროვა, ისიც გვახსოვს, რომ ბანკის დარბაზში კრება იყო, თუ როგორი ქვა დაედოთ კერესელიძის საფლავზედ და როგორი ხარიხა გაეკეთებინათ. ამ საქმისათვის, ასე გისინჯე, კომისიაც-კი ამოირჩიეს: „შურდულის“ საშუალებით უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოების პირითა ამ კომისიას "შურდულის" შემდეგს ნომერში გვაუწყოს: რა ბედი ეწია იმ ცამეტს თუმანს, ციებ-ცხელება ხომ არ გაუჩნდა, ან ჟანგი ხომ არ მოეკიდა *), ისიც გვაცოდინეთ, რამდენს საუკუნეს დარჩება ივანე კერესელიძის საფლავი ასე ტიელ-ოხრადა.

გოჩია.

II

თქვენი „შურდული“ მივიღე, ძლიერ ვისიამოვნე. მართლა, რომ პირდაპირ მიზანში ესვრის; მეც გავმართე შურდული, მოვიქნიე და პირდაპირ „ცნობის ფურცლის“ 2158-ის, ლ. ყ. ფელეტონს მოვახვედრე. ლ. ყ—ს თავისავით გახუნებული აზნაური გვიმტკიცებს: თავ. ერისთავის მამულები, რომ იყიდებოდა ბანკში ჩაქუჩით, ბბ. წიკლაური, მიქაძე და მაჭავარიანი მოვალენი იყვნენ შეეტანათ ფული და დაეხსნათ, თუნდაც თავ. ერისთავები იმ დროს განცხრომაში და „მრავალ ჟამიერს“... სიმღერაში ყოფილიყვნენ. თავ. მელიქიშვილის სამადლობელი წერილი ზემოხსენებულ პირთა მიმართ, რომ უსასყიდლოდ დააბრუნეს ერისთავებს მამული, მეტი და უადგილოაო.

ვაი, ვაი! ასე გახუნებული მეფელეტონე ბ-ნი ლ. ყ. დიდი გულუბრყვილო ყოფილა და აქნობამდე ვერ გაუგია, რომ ბატონ-ყმობა დიდი ხანია მოისპო. ეს იმას ემგვანებოდა, რომ ბ. ლ. ყ-ს ჩაეძინა მატარებლის ვაგონში მოგზაურობის დროს, მოვალენი არიან მას მოგზაურებმა უყარაულონ, რათა ჯიბიდან ფული არავინ ამოაცალოს და რომ არ გაცივდეს, საბანიც დახურონ.

ბ-ნი ლ. ყ. რა გავამტყუნო, ამ დროებაში სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნია. ათი-ათასი თუმნიანი მამული უკან დაუბრუნეს ერისთავებს, იმ დღეს დიდი ნადიმი გადაიხადეს და არამც თუ დაჰპატიჟეს ის სამი, მართლა რომ ამ საქმეში პატიოსანნი პირნი, მათი ხსენებაც არ ყოფილა. შექსპირმა სთქვა:

„ჰოი სირცხვილო! სადღა არის შენი სიწითლე“...

ვითომდა პუბლიცისტი.

დეპეშა.

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან)

სუხუმი. ქართველმა არტისტებმა დაგვატკბეს წარმოდგენებით, მაგრამ ერთმა უცნაურმა შემთხვევამ არტისტებს გული გაუტეხა და საზოგადოება დააფთხო: როდესაც „ხანუმას“ თამაშობდნენ, სცენაზედ ანაზდეულად გაჩნდა ორი აჩრდილი: ა. ცაგარლისა და ზ. ანტონოვისა; ასიკო დაღრეჯილიყო თავისებურად და ენა-წყლიანად წარმოსთქვა: „დაანებეთ თავი ამ ჩემს „ხანუმას“, გადავარდა „ხანუმობა“, მომასვენეთო. ზ. ზაალმა კაბის ყურთმაჯი მხარზე გადიგდო და გორულის კილოთი ყელ-გაწევით მიჰმართა არტისტებს: „ნეტა დედო ჩემს მუცელში გავწყალებოდი და ეგ ოხერი კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“ არ დამეწერა. ლამის საფლავიდამ ამომაგდონ რეცენზენტებმა, შეიბრალეთ ჩემი ძვლები, რა გაგიხარდათ, ეგ ოხერი კომედია. მუხლ მოდრეკილი გთხოვთ, ხალხი გაფთხა, ნულარ წარმოადგენთ, დარბაზი დაცარიელდა; მამალმა იყივლა, აჩრდილნი გაჰქრნენ. არტისტნი გამოეშურნენ ბათუმ-ფოთისაკენ.

ბათუმი. პალმი ავის სენისაგან განიკურნა და ამიტომ ექიმი ჰიჰინაძე დაბრუნდა ქუთაისს.

განცხადება.

ამ დღეებში მივიღე ნამდვილი კახური ღვინო მატრასიდამ და ქურდამირიდამ. ვისაც თავის ტკივილი უნდა, ჩვენგან წაიღოს ღვინო. ღვინის სარდაფი იმყოფება ხეჩუას პროსპექტზედ.

პატივისცემით კუზნარიან—მამლალიანცი

(0—6—6)

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

---

*) ქართლში ხშირად გამიგონია: ჩემმა შვილმა დიმიტრი ყიფიანობა მიიღოვო; ისეთი დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი დიმიტრის, რომ ყველა დედა ნატრობდა, რომ იმისთანა შვილი გამოსვლოდა.

*) თუ ჟანგი მოეკიდა, მაშინ გამომზევება არგებს.

ასოთ-ამწყობი.

რომელიც ელექტრონის მანქანებისათვის არის საჭირო. გერმანიაში, ავსტრიაში, ჩრდილოეთ იტალიაში, პირინეებში, აღმოსავლეთ საფრანგეთში ყველგან შესამჩნევია დღეს მრეწველობის ლტოლვილება სოფლისადმი. სოფლები მდიდრდებიან, ქოხები სახლებად გადაიქცნენ, სადაც ელექტრონით განათებაა შემოღებული. ეს პროცესი ჯერ ჯერობით მხოლოდ იწყება, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მან შეაჩერა ხალხი სოფელში და ქალაქებიდანაც დააბრუნა სოფელში დახელოვნებული, გამოცდილი მუშები. მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგი დღეს სოფელში იკიდებს ფეხს და ვითარდება.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 მაისი.

ბელგრადი. მთავრობამ გამოაცხადა „ზოგიერთ მეფის კარს მომხდარ უსიამოვნების გამო საქმეში ჩაერია ჯარი და მოხდა შეტაკება, რომელშიაც დაიღუპნენ მეფე და დედოფალი. წესიერების და მშვიდობიანობის დასაცველად ყველა პოლიტიკურ დასების წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ შეადგინეს დროებითი მთავრობა, აღადგინეს კონსტიტუციური წეს წყობილება 23 მარტამდე არსებული, მოიწვიეს ხალხის წარმომადგენელნი, რომელნიც არჩეულ იყვნენ 6 აპრილის 1901 წლის კონსტიტუციის ძალით. ხალხის წარმომადგენელნი შეიკრიბებიან ივნისში და შეუდგებიან მეფის არჩევას და სხვა განაჩენს, რომელსაც მოითხოვს ახლანდელი საქმეთა ვითარება. როგორც სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი იუწყებიან, წესიერება სამეფოში არსად არ დარღვეულა. მთავრობა იზრუნავს რომ წესიერება დაიცვას, და დარწმუნებულია, რომ, თუ ასე მოიქცა, დიდნი სახელმწიფონი შეიწყნარებენ ახალს საქმეთა მდგომარეობას.“

ლონდონი. აქაურმა სერბიის ელჩმა მილიჩევიჩმა გამოუცხადა „რეიტერის სააგენტოს“ წარმომადგენლებს, რომ ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი, უეჭველია, დაუდასტურებენ სერბიას, რომ ნება აქვს თითონვე განაგოს თავისი ბედი და არ ჩაერევიან მის საქმეებში.

სოფია. ოფიციოზური გაზეთი „ახალი საუკუნე“ გადაწყვეტით უარ-ჰყოფს მტრობით გავრცელებულს ხმებს, ვითომ ომია მალე მოსალოდნელი. ყოველნი მოუსვენრობის გამომწვევნი ცნობანი ომიანობისა და ჯარის საომარ ფეხზე დაყენების შესახებ სიმართლეს მოკლებულია. მთავრობა ყოველს ღონისძიებასა ხმარობს, რომ აიცილოს თავიდან საჭიროება ომისა და ამისთანავე სურვილს ამჩნევს სტამბოლშიაცა. რადგან ხმებს ავრცელებენ ზოგიერთნი მოხელენი, იგინი იქმნებიან დათხოვნილნი და მიცემულნი სამართალში.

ბელგრადი. შეთქმულობის პირდაპირი მიზეზი ის იყო, რომ მეფემ გამოუცხადა ოფიცრებს, ლიუნევიცი სცანით ტახტის მემკვიდრედაო.

ვენა. „Neue Freic Presse“ ასე აღწერს იმას, რაც ბელგრადში მოჰხდა: „შუაღამევს, ორის ნახევარზედ, გაემართნენ სასახლეში 30 ოფიცერი მაშინისა და მიშიჩის უფროსობით. თან ახლდათ რაზმი მე-6 და მე-7 პოლკებისა. რაზმი გარს შემოერტყა სასახლეს და გამოამტვრია კარები შიდა ოთახებში შესასვლელად; რადგან ზოგიერთი კარები და ჰიშკარი უცბად ვერ გამოსტეხეს, ააფეთქეს დინამიტით. პირველს ოთახში დაუხვდა შეთქმულებს ნაუმოვიჩი და მოკლულ იქმნა; ასეთივე ხვედრი ეწია პეტროვიჩს. მეორე ოთახში მეფე იყო; მეფე მიჰვარდა სარკმელს, გააღო საჩქაროდ და ჰყვიროდა, მიშველეთო; შემდეგ მეფე გაექანა დედოფალთან და მიეხვია, რათა დაეფარა. შეთქმულებმა დაუშინეს ტყვია მეფე-დედოფალს. მეფე და დედოფალი ძირს დაეცნენ; მაინც მეფემ არ გაუშვა ხელიდან დედოფალი. ამავე დროს შეიარაღებულნი გუნდნი ჯარისა შეცვივდნენ პავლოვიჩისა, ცინცარ მარკოვიჩისა და თეოდოროვიჩის სადგურებში. პირველნი ორნი მოჰკლეს, ხოლო მესამე დასჭრეს. ეს ამბავი ოფიცრებმა ყაზარმებსა და ბანაკს შეატყობინეს. დილით ოფიცრები დააჭენებდნენ ცხენებს ქუჩებში და აუწყებდნენ ხალხს მეფის გამეფებას. ხალხი სიხარულით ეგებებოდა ამ ამბავს და იძახდა „ჟივოიოს“.

გაზ. „Zeit“-ს აუწყებენ ბელგრადიდან, რომ რევოლიუცია დიდი ხანია მზადდებოდა. უკვე სამი თვეა, რაც მთელს ქვეყანაში კომიტეტები არსებობდა და ეს კომიტეტები სამხედრო კაცებთან ერთად ამზადებდნენ საქმეს. მეფე-დედოფლის მოკვლა გადასწყვიტეს ბელგრადის ოფიცრებმა რამდენისამე თვის წინად. შეთქმულობის განხორციელება მინდობილი ჰქონდა ადიუტანტს კირილე ნაუმოვიჩს. ღამის 11 საათზედ ნაუმოვიჩმა ყუმბარით ააფეთქა კარები მეფის საძილე ოთახისა და შევარდა ოთახში მიშიჩთანა და რამდენსამე სხვა ოფიცერთან ერთად, რომელნიც რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი; დარაჯნი წინდაწინვე იქმნენ გადაყენებულნი. ნაუმოვიჩმა მოსთხოვა მეფეს: მოაწერე ხელი სიგელს, რომ უარ-ჰყოფ მეფობასაო. სიგელში ეწერა, რომ თვისის ცოლის შერთვით მეფემ დაამცრო სერბიაო. მეფემ წამოავლო ხელი რევოლვერს და მოჰკლა ნაუმოვიჩი. შემდეგ მიშიჩმა სტაცა ხელი სიგელს და მოსთხოვა მეფეს, მოაწერე ხელიო. მეფე და დედოფალი გაიქცნენ დასამალავად ზემო სართულში; ოფიცრები გამოეკიდნენ, ესროლეს რევოლვერი და მოჰკლეს. მეფეს ესროლა ტყვია, როგორც ამბობენ, ლუკა ლაზარევიჩმა. ამ ტრაგედიის დროს მთლად ქუჩები სავსე იყო ჯარითა. ჯარი იდგა ქუჩებში შუადღემდე. დუნაის დივიზიის კომანდირს ნიკოლიჩს უნდოდა ქალაქში შესულიყო მეფის დასაცველად, მაგრამ ყაზარმებს ახლოს ქალაქის პირად დაუხვდა გაგოვიჩი ჯარით. მოხდა ბრძოლა და ამ ბრძოლაში იქმნა მოკლული ერთიცა და მეორე ოფიცერიცა.

31 მაისი

პარიჟი. „Republigue“ მსჯელობს ბელგრადის ამბების გამო და სწერს, რომ სხვა დროს ამ ამბავს შეეძლო მოუსვენრობა გამოეწვია, ხოლო ახლა ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის ისეთი მეგობრული თანხმობაა, რომ ამ მხრივ შიში არ არის საქმის გამწვავებულ-გართულებისა. „Eclair“-ი ამბობს, რომ ყარაგეორგიევიჩების ოჯახი რუსეთის მომხრეობას უფრო ეტანება და საფრანგეთთან ამ ოჯახს მრავალ-გვარი ურთიერთობა აქვსო. ასეთ გარემოებათა შორის, ადვილად დასანახია წინდაწინვე, რას ექმნება უპირატესი გავლენა ბელგრადში.

პეტრო-ალექსანდროვსკი (ხივას ახლოს). გუშინ იდღესასწაულეს ხივას აღების ოც-დამეათე წელი. ალექსანდრე ნევსკის სამხედრო ეკკლესიასთან დარაზმული იყო ადგილობრივი ჯარი და შეიკრიბნენ თითქმის ყველა ქალაქის მცხოვრებლები. პარაკლისის შემდეგ ყველა დამსწრენი წავიდნენ ძველ სასაფლაოზე, სადაც პანაშვიდი გადიხადეს დახოცილთა საფლავზე. ოფიცრები მოწვეულნი იყვნენ მეგობრულ სადილზე. აღტაცებით დალიეს ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო.

ბელგრადი. მოკლულ მეფისა და დედოფლის ცხედარნი დამარხეს ღამე ობრენოვიჩთა საგვარეულო სამარხში, წმინდა მარკოზის ძველ სასაფლაოს სამლოცველოში.

იოკაჰამა. სამხედრო მინისტრი კუროპატკინი მოვიდა ტოკიოს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ მეორედ წაკითხვის შემდეგ შეიწყნარა საფინანსო ბილი.

ვენა „ნეიე ფრეიე პრესე“-მ მიიღო ცნობა ბელგრადიდგან, რომ დეპუტაცია, რომელიც უძღვნის პეტრე ყარაგეორგიევიჩს სერბიის გვირგვინს, დახვდება მომავალ კვირას კარჟიევიჩს ვენაში, საიდგანაც ის წავა ბელგრადს.

ვენა. დეპუტატთა პალატა. როდესაც შეეკითხნენ, მინისტრ-პრეზიდენტმი განაცხადა: „მთავრობა სერიოზულ ყურადღებას აქცევს ასეთს დიდსა და შეუძრწუნებელს მოვლენას. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ახალი წეს-წყობილება ქვეყნის შინაგან საჭიროების შესაფერია, კვლავ განგრძობილ იქმნება მეგობრობა ავსტრია-უნგრეთთან და დაცული მშვიდობიანობა ბალკანეთში. სერბიის ყოველ მთავრობას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ევროპის ყველა კაბინეტი გზას არ აუხვევს მშვიდობიანობის პოლიტიკას.

სოფია. ბელგრადიდგან იცნობებიან დაწვრილებით ამბებს. ხალხი თანაგრძნობით მიგებებია მომხდარ ამბავს. ნიშის ჯარის მხრით შიში უსაფუძვლო გამოდგა. ყველა მთავრობის განკარგულებას აწერია: „სერბიის სამეფოს მთავრობა“. ყველგან სუფევს მშვიდობა და წესიერება. ყოფილი მინისტრები ცინცარა მარკოვიჩის კაბინეტისა შინაურულად დაპატიმრებულნი არიან.

იომი. გაზეთები იუწყებიან, რომ სამინისტრომ გადასწყვიტა სამსახურს დღეს თავი დაანებოს.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
პარიჟის დისკონტი	$5—6\,^1/_2$%

4% სახელმწიფო რენტა	$98\,^1/_4$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$100\,^7/_8$ მყიდ.
5% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	$95\,^1/_8$ მყიდ
4% შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$432\,^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	331 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$284\,^3/_4$ წვ, გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$90\,^1/_4$ გაყ.
$4\,^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$91\,^3/_4$ გაყ.
$4\,^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	3425 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	182 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_8$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს· 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ზორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

3 ივნისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1, არსენ კობახიძისა და ტრიფონ გურგენის ძის საქმე.

2, დიმიტრი ანდულაძისა და ნილოს გუგუნავას საქმე.

3. გუსარია ირემაძისა და მინა და პელაგია ავალიანების საქმე.

4, თებრო რომანოვის, გიორგი საგინოვის და გეურქ მიტუზოვის საქმე.

5, ნიკოლოზ ისაკაძისა და ალექსადრე ქუთათელაძის საქმე.

6, ივანე ბელალოვის, ფრიდონ გოდაბრელიძისა და ანტონ აბანგიძის საქმე.

განცხადება

მოვიგონე მანქანა, რომლის შემწეობითაც შეიძლება ბევრნაირ სამეურნეო საქმის კეთება. მანქანა განუწყვეტლივ მოძრაობს უორთქლოდ და უელექტრონოდ. ვეძებ კომპანიონს ამ საქმის განსახორციელებლად. ფული მცირეა საჭირო.

ალ. ბაკურაძე.

ადრესი: გუნიბის ქუჩა, სახლი ტერ-ავაქოვისა, მეწვრიმლის დუქანში.

(2—134—2)

ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც. ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

(6—უ—1)

აბასთუმანში

ფირალოვის დაჩაში, ორ როშჩას შუა, იძლევა

ოთახები

ყოველის მოწყობილობით და ჭურჭელით. შეიძლება თითო ოთახიც სას მელ-საჭმელით. იქვე იყვანენ ყმაწვილებს სრული შენახვით, შეიძლება მომზადებითაც. მსურველთ ვსთხოვთ, ტფილისში დასტოვონ თავიანთი ადრესი, დვორცოვოი ქუჩაზედ, ფაბრიკა „მირის“ მაღაზიაში. აბასთუმანში კი მიჰმართონ იმავე დაჩაში, ანნა სტეფანეს ასულს ფირალო ვისას.

(3—1)



საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრედვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრედვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშნიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მსგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძირობებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—21)

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

სიღნაღის უეზდში ე. ს. გამრეკელის მამულში, სოფელს **მუკუზანს** ისყიდება

თავი ღვინოები

წითელი და თეთრი 1,000 ვედრამდის.

დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ მამულის გამგეს ს. მუკუზანში. (3—132—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** } ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იობის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** } ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნები. სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქ ა ჯ ა ნ ა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ა ლ ი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кад. детскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი